პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 14 ივნისი, 1942 წ. № 139 (6455). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სსრ კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას

ანტიჰიტლერული კოალიციის ძლიერება უფრო და უფრო მტკიცდება

ულრესად ცხოველი კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა ხალხი იმ დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომელნიც მოწმობენ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობისა და საბრძოლო ძლიერების შემდგომს განმტკიცებას, რომლებითაც იწყება ახალი ეტაპი იმ სამი დიდი დემოკრატიული სახელმწიფოს—სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობის განვითარებაში, რომელთაც გააერთიანეს თავიანთი ღონისძიებანი ჰიტლერის გერმანიის სრული განადგურებისა და მსოფლიოს ომისშემდგომი სამართლიანი მოწყობის მიზნით.

ფართო ნაკადად მოდის გამოხმაურება სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელშეკრულების დადებაზე, იმ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაზე, რომელსაც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი აწარმოებდა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ლონდონსა და ვაშინგტონში. ეს გამოხმაურებანი ნათლად მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად და მთლიანად იწონებს საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მთელი ძალების დარაზმვისაკენ. ურიცხვ მიტინგებსა და კრებებზე მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენტები, წითელი არმიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცება დააჩქარებს მტრის განადგურებას, მოაახლოებს სანატრელი გამარჯვების ჟამს, უზრუნველჰყოფს მტკიცე და სამართლიან ზავს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ.

წლევანდელი, 1942 წელი ჰიტლერელთა ურდოების საბოლოო განადგურების წელი უნდა გახდეს—ამ აზრით არის გამსჭვალული ფრონტსა და ზურგში გამართულ მიტინგებსა და კრებებზე წარმოთქმული სიტყვები, მშრომელთა კოლექტივების მიერ მიღებული რეზოლუციები. საბჭოთა ადამიანებმა დიდი კმაყოფილებით შეიტყეს იმის ამბავი, რომ სრული შეთანხმება მოხდა 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების შესახებ, შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ ლონდონსა და ვაშინგტონში წარმოებული მოლაპარაკების დროს.

სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ავტოქარხნის მუშათა კრებაზე ზეინკალმა ამხ. იაროვმა განაცხადა:

„ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში მოსკოვის საბჭოს 1941 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე სთქვა, რომ ევროპაში მეორე ფრონტი უთუოდ გამოჩნდებაო. სტალინის სიტყვები ხორციელდება".

საბჭოთა ხალხმა მტრის სიძულვილი ისწავლა. მან იცის მეგობრების დაფასება. კრებებსა და მიტინგებზე გაისმოდა მგზნებარე სიტყვები მისალმებისა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრული ხალხებისადმი, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გაისმოდა სიტყვები იმ მტკიცე რწმენისა, რომ ჰიტლერი და ევროპაში წარმოებული სისხლისმღვრელი ყაჩაღობის მხრივ მისი თანამონაწილენი ძალიან მალე თავიანთ ტყავზე იგრძნობენ, თუ როგორ მტკიცდებიან და ირაზმებიან თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გაერთიანებული ძალები.

საერთაშორისო და ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებმა, რომლებიც ახალ ფურცელს მოასწავებენ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში, უცხოველესი გამოხმაურება ჰპოვეს მთელს მსოფლიოში. თავისუფლებისმოყვარე ხალხთა პოლიტიკური ხელმძღვანელები, საზოგადო მოღვაწენი, პრესა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებას ერთსულოვნად აფასებენ, როგორც ისეთ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველჰყოფს ორივე ქვეყნის საბრძოლო თანამეგობრობას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მჭიდრო თანამშრომლობას მსოფლიოს ომისშემდგომს მოწყობაში, როგორც ისეთ დოკუმენტს, რომელიც საერთო გამარჯვებას დააჩქარებს.

სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობის ხელშეკრულების შემდეგ, რომლის ისტორიული მნიშვნელობაც ერთბაშად აშკარა გახდა მთელი მსოფლიოსათვის, 11 ივნისს ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმება, რომელიც ამ ხელშეკრულების ძვირფას დამატებას წარმოადგენს და რომელიც დაკავშირებულია მასთან მიზნის ერთობით. საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება ამას მოწმობს, რომ განუწყვეტლივ მტკიცდება ურთიერთობა სამი დიდი სახელმწიფოსი, რომელნიც მძლავრ ანტიჰიტლერულ კოალიციას მეთაურობენ. ამ შეთანხმებაში ახალი მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებულმა მეგობრობამ, რაც განუწყვეტლივ მტკიცდება, და მათმა მჭიდრო საბრძოლო თანამშრომლობამ.

ის დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-ეკონომიური დახმარება, რასაც შეერთებული შტატები უწევენ საბჭოთა კავშირს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიერიდან გაფორმებულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ფართო შეთანხმების სახით. შეერთებული შტატების ეს თავდაცვითი დახმარება საბჭოთა კავშირისადმი, რაც საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთდახმარების საფუძველზე ხორციელდება, ახლა შემდგომ განვითარებას პოულობს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება ითვალისწინებს როგორც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ახლანდელ ომში, ისე ორივე ქვეყნის მეგობრულ თანამშრომლობასაც ომისშემდგომ პერიოდში. შეთანხმება ნიშნავს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულ მორიგებას იმ მხრივ, რომ ომისშემდგომ პერიოდში გაუმჯობესონ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა მშვიდობიანობის დაცვის ინტერესებისათვის. ამიტომ ვაშინგტონში ხელმოწერილ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, არამედ სხვა ქვეყნების ხალხებისთვისაც.

მიესალმებიან რა საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, ჰიტლერელ ყაჩაღთა სრული განადგურებისაკენ მიმართულს, ჩვენი სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები ვალდებულებას კისრულობენ კიდევ უფრო მეტად დასძაბონ თავიანთი ძალები, კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ იმისათვის, რომ დააჩქარონ მტერზე გამარჯვება.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ჯერ კიდევ მოგველის ბრძოლის არამცირე სიძნელენი. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, სასოწარკვეთილებით გამოწვეული გაფთრება ყოველნაირ ახალ ავანტიურას ჩაადენინებს მას. მაგრამ ჰიტლერის გერმანიის დღეები დათვლილია. ისტორიის განაჩენი ულმობელია, და რაც უფრო მალე მოიყვანენ სისრულეში ამ განაჩენს გაერთიანებული თავისუფლებისმოყვარე ხალხები, მით უფრო მალე და უფრო აკაშკაშდება კვლავ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სინათლე, რომელიც ბედნიერი ცხოვრების გზას უნათებს მთელ კაცობრიობას.

„პრავდის" მოწინავე, 13/VI.

პირსისხლიანი ფაშისტი მტარვალები მოსპობილ იქნებიან

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში შემდგარ მუშათა მიტინგზე, ქარხნის დირექტორმა ამხ. ლ. მეტრეველმა დამსწრეებს გააცნო ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

მიტინგზე ელექტროსაამქროს კომკავშირული ათასოვანი ბრიგადის სახელით ილაპარაკა ბრიგადის უფროსმა ამხ. შ. კაპანაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება სასიკვდილო ლახვარი იქნება ჰიტლერის გერმანიის მიმართ. მსოფლიოს პროგრესიული ნაწილი ჩვენთან ერთად იბრძვის მიხაკისფერი სამხრეთის მოსასპობად.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ინსტრუმენტალური საამქროს ათასოვანი ხარატი გ. წიკლაური და კომკავშირელი მრანდავი ა. ხარაძიძე.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ქარხანა კიდევ უფრო გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და ყოველმხრივ დაეხმარება წითელ არმიას ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვების მიღწევაში.

კლევამოსილი ანტიჰიტლერული კოალიცია გაამამტვერებს ფაშისტ ბარბაროსებს

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). ქალაქ ქუთაისის საწარმოებში დიდი აღმავლობით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისადმი.

მიტინგებზე მხურვალე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს მოწინავე ადამიანებმა, რომლებმაც მუშა-მოსამსახურეთა სახელით ერთსულოვნად მოიწონეს დადებული ხელშეკრულება. საწარმოთა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ახალი საბრძოლო ვალდებულებები იკისრეს. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის სტახანოველმა ვალენტინა სამხარაძემ პირობა დასდო ივნისში შეასრულოს სამი ნორმა, საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა, გამოსთქვა რა მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენა, იკისრა, აიღო ვალდებულება კიდევ უფრო მეტი ძალით გაშალოს ბრძოლა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. მემანქანეებმა აბდალაძემ, ჯაიბაძემ და პაიჭაძემ განაცხადეს, რომ ენერგიას არ დაიშურებენ გადამეტებით შეასრულონ გეგმა და ყველაფერი გააკეთონ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების დასაჩქარებლად. საკონსერვო ქარხნის მუშათა მიტინგზე სტახანოველმა ვერა ბოკერიამ სთქვა: მოკავშირეთა შორის ამ ხელშეკრულების დადება აახლოებს მტერზე ჩვენს საბოლოო გამარჯვებას და ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობასა და ხალხთა მეგობრობას. მიტინგები დიდი აღმავლობით ჩატარდა აგრეთვე სამკერვალო ფაბრიკაში, ლიტოპონის ქარხანაში, მაუდის ფაბრიკაში და სხვ.

უფრო ნაყოფიერად და მაღალხარისხოვნად ვიმუშავებთ

12 ივნისს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, რომელზეც ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. აბრამოვმა დამსწრეთ გააცნო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე დადებული ხელშეკრულების ტექსტი.

ხელშეკრულებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ქარხნის მთელი კოლექტივი და აიღო ვალდებულება ივნისის საწარმოო გეგმა შეასრულოს სულ მცირე 15 პროცენტის გადაჭარბებით, სპეციალური დაკვეთის თვიური დავალება 7 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდოს, გაამრავლოს მრავალდაზგოსანთა, სტახანოველთა და დამკვრელთა რიცხვი, დაეხმაროს ახლადმოსულ მუშებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში და სხვ.

სიტყვებით გამოსული მექანიკური საამქროს უფროსი ამხ. ი. ოსიპოვი, მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი, ორდენოსანი ამხ. ა. ზაკომოლდინი, საგეგმო განყოფილების უფროსი ამხ. ა. კრაინსკი აღნიშნავდნენ, რომ გმირი წითელი არმიის დასახმარებლად დაუშრეტელი ენერგიით იმუშავებენ, გამოუშვებენ მეტს და მაღალხარისხოვან პროდუქციას ჰიტლერელი არამზადების საბოლოო განადგურებისათვის.

დასასრულ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც გამოსთქვეს ერთსულოვანი მისწრაფება მთელი შესაძლებლობით იბრძოლონ გმირი წითელი არმიის დასახმარებლად, ჰიტლერელთა საბოლოოდ განადგურებისათვის.

ქვეყანას მივცემთ მეტსა და მაღალხარისხოვან პროდუქციას

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეხვდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე ხელშეკრულების დადების ცნობას. გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ, ფაბრიკის ეზოში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც ფაბრიკის დირექტორის მოადგილემ ამხ. ი. ნამორაძემ დამსწრეთ გააცნო ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც მიტინგის მონაწილენი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ.

სიტყვა წარმოსთქვა მესამე კორპუსის საამქროს უფროსმა ამხ. ჩქარეულმა. მან მესამე კორპუსის კოლექტივის სახელით ვალდებულება იკისრა, რომ გადაჭარბებით შეასრულებს თავდაცვითი პროდუქციის გამოშვების მიცემულ დავალებას, ქვეყანას მისცემს მეტს და მაღალხარისხოვან ფეხსაცმელს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე I კორპუსის მუშა სტახანოველი ამხ. ტეგეტაშვილი და საშტამპო საამქროს პარტბიუროს მდივანი ამხ. სოლოვიოვა.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის კოლექტივმა აიღო ვალდებულება, რომ ყველაფერს გააკეთებს ფრონტის დასახმარებლად, წარმატებით შეასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და ამით ხელს შეუწყობს გმირ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ანადგურებაში.

თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გაერთიანებული ძალები მოსპობენ ჰიტლერელ ქვეწარმავლებს

12 ივნისს მუშაობის შემდეგ შესდგა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პირველი ცვლის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, მიძღვნილი სსრ კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთ დახმარებაზე დადებული ხელშეკრულებისადმი.

მიტინგი გახსნა ფაბკომის თავმჯდომარემ ამხ. აპრესოვამ. ლონდონსა და ვაშინგტონში ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ყოფნის შესახებ ინგლის-საბჭოთა კავშირის და საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომუნიკეები, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის დადებულ ხელშეკრულების ტექსტი მიტინგზე დამსწრეთ გააცნო კამვოლური საამქროს უფროსმა ამხ. ნოვიკოვმა.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშები, რომლებიც ჩაბმული არიან სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავდადებულად იბრძვიან იმისათვის, რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ფაშიზმზე გამარჯვებას, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების ცნობას. სიტყვით გამოსულმა კამვოლური საამქროს ცვლის ოსტატმა ამხ. ჯორჯაძემ საკამვოლო საამქროს მუშაკთა სახელით სიტყვა მისცა მიტინგს, რომ ისინი, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული ხელშეკრულებით, არ დაიშურებენ ენერგიას და ძალ-ღონეს იმისათვის, რომ სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი გადაჭარბებით შეასრულონ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე შრომის განყოფილების უფროსი ამხ. თოფურია, მაუდის საამქროს სტახანოველი ქალი ამხ. მიქაბერიძე და სხვ.

მიტინგის რეზოლუციაში ნათქვამია:

1942 წელს მეორე ფრონტის შექმნას მოჰყვება ჰიტლერული რეჟიმის საბოლოო განადგურება. თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გაერთიანებული ძალები მოსპობენ ჰიტლერელ ქვეწარმავლებს და გაათავისუფლებენ ხალხებს მიხაკისფერი ჭირისაგან. ჩვენც გვსურს ჩვენი წვლილი შევიტანოთ ფაშისტი არამზადების განადგურების საქმეში. ამიტომ ვიძლევით სიტყვას, ვადაზე ადრე შევასრულოთ ის ვალდებულებანი, რომლებიც აღებული გვაქვს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით.

გმირული შრომით დავაჩქარებთ ფაშიზმის განადგურებას

თბილისის რადიო-ტელეგრაფის ქარხნის კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ.

რადიო-ტელეგრაფის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე სიტყვებით გამოსული ამხანაგები ერთსულოვანი მოწონებით შეეგებნენ დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას.

სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ი. ფერიაშვილმა, მექანიკური საამწყობო საამქროს ზეინკალმა ამხ. ნ. ფირსაკოვმა, ინჟინერმა ი. ოლენიკოვმა, დამამზადებელი საამქროს ბრიგადირმა ამხ. ბ. ბრატიკოვსკიმ და სხვ. აღნიშნეს, რომ დადებული ხელშეკრულების პასუხად კიდევ უფრო მეტი მონდომებით და ენერგიით იმუშავებენ, რათა დაეხმარონ გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის—პირსისხლიანი ფაშიზმის საბოლოო განადგურებაში 1942 წელს.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის კოლექტივმა აიღო ვალდებულება 1942 წლის გეგმა 24 დეკემბრისათვის შეასრულოს და შრომის ნაყოფიერება 12 პროცენტით გაზარდოს.

აჭარის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები

ბათუმი (13 ივნისი). აჭარის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ცნობებს დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისა და ამასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის შესახებ.

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ საწარმოებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩატარდა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებიც გადაიქცა ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი ხალხის უსაზღვრო ერთგულების, ფრონტისადმი დახმარების მაქსიმალურად გაძლიერების კიდევ ერთ მძლავრ დემონსტრაციად.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად,—სთქვა მიტინგზე მთავარნავთის ბათუმის ბაზის ზეინკალმა ურუშაძემ,—ჩვენ ერთსულოვნად მივესალმებით ახლად დადებულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერას, რაც წარმოადგენს დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების ფაქტს. კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობის ტემპებს, ფრონტს უფრო მეტი რაოდენობით მივცემთ ნავთის პროდუქტებს.

ხალხმრავალი მიტინგები მოეწყო აგრეთვე ნავთსახდელ ქარხანაში, ნავსადგურში, მანქანათმშენებლობის ქარხანაში, სამკერვალო ფაბრიკაში და სხვ. მშრომელები ყველგან ერთსულოვნად მიესალმებოდნენ ხელშეკრულებებს დადებას, რაც წარმოადგენს ახალ ფურცელს საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში.

გაზ. „საბჭოთა აჭარის" რედაქცია

კიდევ უფრო ნაყოფიერად ვიმუშაოთ

სოხუმი, 13 ივნისი (საქტესი). აფხაზეთის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე ხელშეკრულების დადებას.

12 ივნისს სოხუმის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებში მოეწყო ამ ისტორიული ამბისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები.

თავიანთ სიტყვებში მშრომელნი მხურვალედ მიესალმნენ მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ორ მძლავრ დემოკრატიულ ქვეყანას შორის, რომელნიც ერთობლივ ბრძოლას ეწევიან მიხაკისფერი ჭირის წინააღმდეგ.

ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის მეცნიერ მუშაკთა მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ფილიალის დირექტორმა ქალმა ამხ. ლევიტანმა, რომელმაც განაცხადა:

— ამხანაგ მოლოტოვის და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია. ამიერიდან კიდევ უფრო ძლიერ განმტკიცდება კავშირი ამ ორივე ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. მთელი მათი დაუშრეტელი რესურსები გამოყენებულ იქნება იმისათვის, რომ ულრესად ჩქარა იქნას განადგურებული კაცობრიობის უბოროტესი მტერი გერმანული ფაშიზმი.

მიტინგის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშაონ, მთელი თავიანთი გამოცდილება და ცოდნა საყვარელი სამშობლოს თავდაცვის საქმეს მოახმარონ.

შრომითი ენთუზიაზმის ახალი აღმავლობა

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). დიდი ინტერესი გამოიწვია და ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა მახარაძის რაიონის კოლმეურნეებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს შორის გაზეთებში მოთავსებულმა ცნობებმა დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების შესახებ.

ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სამი დიდი ქვეყნის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა მასები შრომითი ენტუზიაზმის ახალი აღმავლობით უპასუხებენ. სოფ. ზვანის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სტახანოველებმა — კვაჭაძემ, მიქაძემ, ცხომელიძემ, დარჩიამ და სხვებმა იკისრეს უახლოეს დროში მიაღწიონ გეგმების შესრულებას სულ მცირე 300 პროცენტით.

სოფ. გურიანთის კოლმეურნეობაში შემდგარ მიტინგზე, რომელსაც სამასზე მეტი კოლმეურნე დაესწრო, დიდი ყურადღებით მოისმინეს პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. ჯაშის ინფორმაცია დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებების შესახებ ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე. კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირებმა ი. ცერცვაძემ, დ. ტოტოჩავამ, სტახანოველებმა ანა ქათამაძემ, თამარ მალაზონიამ, კატო ურუშაძემ და სხვ. იკისრეს წელს 80 შრომადღით მეტი გამოიმუშაონ, ვიდრე გასულ წელს. ნატანების კოლმეურნეთა ხალხმრავალ მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კოლმეურნეებმა აღნიშნეს, რომ დაუღალავი, გმირული შრომით მიაღწევენ გამარჯვებას სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში და ხელს შეუწყობენ მშობლიურ წითელ არმიას ვერაგი მტრის პირსისხლიანი ფაშიზმის საბოლოო განადგურებაში 1942 წელს.

გლეხობის მოსისხლე მტერი—ფაშიზმი მოსპობილ იქნება

ქარელი („კომუნისტის" კორ.). ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა უდიდესი ყურადღებითა და სიხარულით მოისმინეს ცნობა დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სსრ კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების შესახებ.

კოლმეურნეები გაეცნენ დიდმნიშვნელოვან ხელშეკრულებას სსრ კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

კოლმეურნეებმა აიღეს ვალდებულება შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 20 პროცენტით, სამუშაო ნორმები გაადიდონ 15-20 პროცენტით, მოსავლიანობა გაზარდონ 15-20 პროცენტით, გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების 1942 წლის გეგმა, დროულად მოიხადონ სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება და უდანაკარგოდ აიღონ უხვი სამხედრო მოსავალი.

ასევე საქმიანად გამოეხმაურნენ ზემოაღნიშნულ ცნობას ზემო და ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეები, უბნისის, ლეთეთის და სხვ. კოლმეურნეობათა წევრები და მტკიცე რწმენა გამოსთქვეს, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცება საწინდარია ჩვენი გამარჯვებისა გლეხობის დაუძინებელ მტერ ე—გერმანელ ფაშისტებზე და მათ ვასალებზე.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ზესტაფონის რაიონის მშრომელები სიხარულით შეხვდნენ ცნობას ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელშეკრულების დადების შესახებ. ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: მესხი, დიაკონიძე, საღარეიშვილი, მახლიაანოვი, დვალი, სტეპანიუკი, ხეცაძე და სხვ. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: ეს ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, იგი დააჩქარებს ფაშიზმის განადგურებას. ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ საწარმოო ტემპებს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გამარჯვებისათვის და ფრონტს მივცემთ მეტ ლითონს.

მიტინგები ჩატარდა აგრეთვე სხვა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

ყველაფერს გავაკეთებთ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები დიდი აღფრთოვანებით და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებს დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების შესახებ.

ფაბრიკის ეზოში მიტინგზე შეკრებილ მკერავ მუშებს, მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს 12 და 13 ივნისის გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გაუკეთა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. პ. ქართველიშვილმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მეორე საამქროს მექანიკოსი ლიუსია ჭურღულაიძე, მესამე საამქროს ინსტრუქტორი აშხენ შიხიანი, იმავე საამქროს ცვლის ოსტატი ელისაბედ ზურეკიძე, მეორე საამქროს ცვლის ოსტატი ნადეჟდა ბერბეტაშვილი, ინსტრუქტორი ქეთევან შავლაყაძე და სხვ.

მიტინგის მისწრაფებას გამოხატავდნენ როცა აღნიშნავდნენ, რომ ფაბრიკის მუშები და სპეციალისტები კიდევ უფრო მეტის ენერგიით იმუშავებენ ზურგში, რათა ფრონტს მიაწოდონ ყველაფერი, რაც საჭიროა ხალხთა ბელადის და დიდი მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების შესასრულებლად, ჰიტლერული გერმანიის გასანადგურებლად.

— ჩვენს ბრძოლას პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ,—ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — ხელმძღვანელობს დიდი მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი. მისი ხელმძღვანელობით ვიმარჯვებდით ყოველთვის, მისი ხელმძღვანელობით გავიმარჯვებთ ახლაც საზიზღარ მტერთან დაუნდობელ ბრძოლაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ აქ, ზურგში, იმისათვის, რომ ...

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან: შრომის წითელი დროშის ორდენით—ნავსადგურის უფროსი ალექსანდრე ხარიტონის-ძე პერედერია, ნავსადგურის უფროსი კონსტანტინე ფილიპეს-ძე რეკავა, ნავსადგურის მუშა გიორგი ფარსადანის-ძე გითრგობიანი.

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ საზღვაო ფლოტის მუშაკთა შორის არის სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი მიხეილ მაქსიმეს-ძე გვიშიანი, რომელიც დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ვ. ჟარა-მურზა

გერმანელებს უდიდესი ზარალი მოსდით სევასტოპოლთან

სევასტოპოლი, 13 ივნისი (საქტესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სევასტოპოლთან ბრძოლა ახალი ძალით ჩაღდება. მტრის ქვეითი ჯარის ტანკების, ავიაციისა და არტილერიის დახმარებით გაფთრებული იერიშები მოაქვს, ცდილობს გარღვიოს შავი ზღვის სიმაგრის დამცველთა მამაცობა. მაგრამ ჩვენი სახელოვანი მეომრები მაგრად ურტყამენ ჰიტლერელთა ნაწილებს და მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ ზღუდეებს. მარტო მცირე უბანზე, სადაც მტერმა თავი მოუყარა თავის ძირითად ძალებს, მან უდიდესი ზარალის ფასად შესძლო სოლივით შემოჭრილიყო ჩვენი თავდაცვის ხაზში.

ჩვენი ქვეგანაყოფები გაბედული კონტრიერიშებით აძევინებენ მტერს პირვანდელი პოზიციებისაკენ. მარტო ორ დღეში გერმანელმა ოკუპანტებმა ფრონტის ერთ-ერთ უბანზე დაკარგეს 5½ ათასზე მეტი კაცი მოკლულთა სახით. საზენიტო არტილერიის მიერ და საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია ფაშისტთა 27 და განადგურებულია 15 თვითმფრინავი. ჩვენი ავიაცია ბომბავდა და იერიშობდა ფაშისტთა ჯარებს, მოსპო 2 ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი, 10 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა. დაზიანებულია 9 ტანკი. ახალგაზრდა მფრინავმა, გვარდიის ლეიტენანტმა სიკოვმა საჰაერო ბრძოლის დროს გაანადგურა ერთი „იუნკერს-88" და „მესერშმიტ-109". გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ფლოკტისტოვმა რამდენიმე ჯერით ჩამოაგდო „ჰაინკელ-111".

ჰიტლერელთა დიდი ხროვა დაიძრა მებრძოლ ბელტინოვის ტყვიამფრქვევის წინააღმდეგ, მაგრამ მეტყვიამფრქვევე მარჯვე ცეცხლს უშენდა და არ უშვებდა ჰიტლერელებს თავის ზღუდესთან. მისი გამაგრებული საცეცხლე წერტის წინ სამარე ჰპოვა 100-ზე მეტმა ფაშისტმა.

ჩვენს მებრძოლთა ქვეჯგუფს გარს შემოერტყა 30 ჰიტლერელი. მებრძოლები, რომლებსაც აღაფრთოვანებდა კომკავშირელი გუსოვი, ხიშტით იერიშზე გადაეშვნენ. ფაშისტებმა უკან დაიხიეს. 6 ჟანდარმი მტერს დაედევნა და 19 ჰიტლერელი გასწყვიტა.

მარჯვედ მუსრავენ მტერს გვარდიელი არტილერისტები. მტერი ცდილობდა თავს დასხმოდა ჩვენს საბრძოლო წყობილებებს. ბუნდიჩისა და გირენკოს საარტილერიო გუნდების სნაიპერული ცეცხლით განადგურებულ იქნა მტრის 6 ტანკი. დანარჩენმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა მოახერხა შემოჭრილიყვნენ ჩვენი თავდაცვის განლაგებაში. აქ მათ დაუხვდათ საბჭოთა კავშირის გმირის ზარნიკოვისა და კოვალკინის საქვემეხო გუნდების მწყობრი ცეცხლი. ფაშისტთა ტანკები მოსპობილ იქნა. მამაცმა გვარდიელებმა გაჟლიტეს და ნაწილობრივ გაჰფანტეს გერმანელთა ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

სევასტოპოლელები განსაკუთრებული მამაცობით იცავენ ყოველ მტკაველ მიწას, სულ უფრო და უფრო გამანადგურებელ ლახვარს სცემენ გერმანელ ყაჩაღებს.

ვ. ტუროვსკი

გააფთრებული ბრძოლები ხარკოვის მიმართულებით

უკვე რამდენიმე დღეა, რაც გერმანელ ფაშისტთა ჯარები, რომლებიც შეტევაზე გადმოვიდნენ ხარკოვის მიმართულებით, ცდილობენ გაარღვიონ ჩვენი ხაზები. გერმანიის სარდლობამ მნიშვნელოვანი სატანკო ნაწილები და მოტოქვეითი ჯარი ჩააბა ბრძოლაში. ცალკეულ იერიშებში გერმანელთა რამდენიმე ათეული ტანკი მონაწილეობდა. გრიგალისებრი საარტილერიო, სატყვიამფრქვევო და სანაღმსტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ გერმანელებს იერიშები მოაქვთ ჩვენს ხაზებზე. ფაშისტთა ავიაცია მნიშვნელოვან აქტივობას ავითარებს და ცდილობს დახმარება გაუწიოს თავის სახმელეთო ნაწილებს.

გერმანელთა იერიშები მძლავრ წინააღმდეგობას ხვდებიან წითელი არმიის ნაწილების მხრივ, რომლებიც ამ ბრძოლებში ცხადჰყოფენ არა მარტო უსაზღვრო მამაცობას, არამედ გაზრდილ ოსტატობასაც და გაწრთვნილობასაც. ჩვენი ქვეითები, არტილერისტები, ნაღმსტყორცნელები, ტანკისტები მამაცობის სასწაულებს გვიჩვენებენ. ბრწყინვალედ მუშაობენ ჯავშანსაწინააღმდეგოები. არტილერია უდიდეს ზარალს აყენებს გერმანიის სატანკო ნაწილებს. ფრონტის ცალკეულ უბნებზე გერმანელებმა უკვე რამდენიმე ათეული ტანკი დაჰკარგეს. ჩვენი პოზიციების მისადგომები ათასობით გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამით არის მოფენილი. მძიმე ზარალის მიუხედავად, გერმანიის სარდლობა ახალ ჯარებს აბამს ბრძოლაში. გერმანელთა იერიშებს წარმატებით იგერიებენ ჩვენი მებრძოლნი. იქ, სადაც ჰიტლერელებმა წინ წამოწევა მოახერხეს, ისინი შეჩერებულ იქნენ. გერმანელთა ჯარებს ჩვენ მძლავრი კონტრდარტყმებით ვუპასუხებთ.

გააფთრებული ბრძოლები გრძელდება.

ხარკოვის მიმართულება. 12 ივნისი. („იზვესტიის" სპეც. კორესპონდენტისაგან).

გაერთიანებული ერების დღის შესახებ

იმ მიზნით, რომ დემონსტრირებულ იქნას გაერთიანებული ერების—აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ ვაშინგტონის 1942 წლის 1 იანვრის დეკლარაციის მონაწილეების სოლიდარობა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს—ა. წ. 14 ივნისს აღმართონ თავიანთ შენობებზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ბაირაღი დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა გაერთიანებული ერების პატივსაცემად, რომელნიც აგრეთვე სათანადოდ აღნიშნავენ ამ დღეს.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიტინგი თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში. ქარხნის ტექნიკური დირექტორი ამხ. ა. ლიაშჩენკო მიტინგს აცნობს საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებას.

ფოტო ვ. რუსეცკისა (საქტესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 ივნისის დილის ცნობა

12 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

• • •

ფრონტის სევასტოპოლის უბანზე გერმანელ ფაშისტთა ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდით. ამ უკანასკნელ დღეებში ჰიტლერელები უფრო და უფრო მეტად იყენებენ რუმინელებს „საზარბაზნე ხორცად". გუშინდელი დღის განმავლობაში მათ ოთხჯერ გამოუშვეს „ფსიქიურ" იერიშებზე მთვრალ რუმინელ ჯარისკაცთა ბატალიონი. ჩვენმა მებრძოლებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით სულ ცოტა 200 რუმინელი დახოცეს. განადგურებულ რუმინელთა ბატალიონის ნაშთები უკუქცეულ იქნენ პირვანდელ პოზიციებზე.

• • •

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა მტერთან ბრძოლის შედეგად გაიუმჯობესა პოზიციები. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 2 ტანკი, 3 ქვემეხი და 8 ავტომანქანა. ბრძოლის ველზე მტრის 300-მდე მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. წამოღებულია დავლა: 9 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, 20 ყუთი ვაზნებიანად და რადიოსადგური. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

ერთი ჩვენი ნაწილის მეზენიტეებმა (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი) დღის განმავლობაში გერმანელთა ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

5 ჩვენი მზვერავი ამხ. სობოლევის მეთაურობით საბრძოლო დავალების შესრულებისას ჰიტლერელთა ჯგუფს შეხვდა. ჩვენმა მებრძოლებმა ხანმოკლე შეტაკების დროს მოჰკლეს 4 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი ტყვედ წამოიყვანეს.

• • •

სნაიპერებმა ამხ. გრიგოლ აბრამოვმა, ზაქარ უგაროვმა, ალექსანდრე ზაიცევმა და ვასილ ვიხროვმა 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს ორი კვირის განმავლობაში.

• • •

კურსკის ოლქის გერმანელების მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში ამხ. უ-ს მეთაურობით მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის სარკინიგზო შემადგენლობა. მარცხის შედეგად მოსპობილია 2 თვითმფრინავი, 12 ქვემეხი, ტრაქტორი და 100-მდე გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი.

• • •

მოკლულ გერმანელ უნტერ-ოფიცერს, რომლის გვარის გამორკვევა ვერ მოხერხდა, დედის წერილი აღმოაჩნდა. წერილში ნათქვამია: „ვსარგებლობ შემთხვევით და შენთან წერილს ვატან ჰერბერტს. ეს დიდი ბედნიერებაა, ვინაიდან ფოსტით გაგზავნილ წერილში სიმართლის დაწერა შეუძლებელია... ნეტავი როდის დაამთავრებთ ამ უაზრო ომს? ნუთუ დრო არ არის შესწყვიტოთ ამ ერთი მუჭა ვაჟბატონების გულისათვის სისხლისღვრა? არ ვიცი, მანდ რას ფიქრობთ, აქ კი მეტის ატანა აღარ შეგვიძლია. ელზა ავად არის, სისხლს აღებინებს და მას 12 საათობით ამუშავებენ. საჭმელი აღარაფერი გვაქვს. მუდამ რიგებში ვდგევართ და შინ ხელცარიელი ვბრუნდებით".

• • •

გერმანელი ფაშისტი არამზადები ღამით ლენინგრადის ოლქის სოფელ კოროლევოში შეიჭრნენ. ჰიტლერელმა ბანდიტებმა ცეცხლი წაუკიდეს კოლმეურნეთა სახლებს, ხოლო როცა გლეხები თავიანთი ქონების გადარჩენას შეუდგნენ, ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს მათ. მოკლულია სოფლის მრავალი მცხოვრები, მათ შორის ქალები და ბავშვები. სოფელში ყველა სახლი და შენობა დაიწვა.

• • •

მთელი ჩვენი ქვეყნიდან მოდის გამოხმაურება იმ ცნობის შესახებ, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი ლონდონსა და ვაშინგტონში იყო. საბჭოთა კავშირის მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას. მუშები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენცია აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობა, რომელიც მტკიცდება, აახლოებს ჰიტლერის გერმანიაზე და ევროპაში აგრესიით მის თანამზრახველებზე სრული გამარჯვების ჟამს.

მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მღარველმა ამხ. კრივოშეევმა, რომელმაც ქარხნის ყველა მუშის აზრი გამოსთქვა, განაცხადა: „სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული ძალები პირისაგან მიწისა აღგვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ და გაათავისუფლებენ ევროპის დამონებულ ხალხებს".

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში 1.000-ზე მეტი პროფესორი, მასწავლებელი და სტუდენტი შეიკრიბა. „ჰიტლერის გერმანია, — სთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა, სტალინის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა ეფიმოვმა,—ცდილობდა სათითაოდ დაემარცხებინა თავისი მოწინააღმდეგენი, მაგრამ იგი თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების გაერთიანებულ წინააღმდეგობას შეხვდა. ხელშეკრულება ღრმა კმაყოფილებას იწვევს ყველა იმათში, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის".

კალინინის კვანძის რკინიგზელთა მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ლუნინელმა მემანქანემ ამხ. მაკაროვმა. დიდ სახელმწიფოთა კავშირი, — განაცხადა მან, — უზრუნველჰყოფს ჰიტლერელთა საბოლოო განადგურებას 1942 წელს. ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ეს სწორედ ასე მოხდება!

ჩკალოვის ოლქის ნ. ქარხნის მუშათა მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სტახანოველმა ამხ. ბოროდიანსკაიამ, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, სულითა და გულით გვიხარია ჩვენი ქვეყნის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა შორის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცება. ჩვენ არ დავიშურებთ ძალ-ღონეს, რათა მივაწოდოთ ფრონტს ყოველივე, რაც საჭიროა მტერზე სწრაფი და სრული გამარჯვების მოსაპოვებლად".

13 ივნისის საღამოს ცნობა

13 ივნისის განმავლობაში ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის ტანკებთან და ქვეით ჯართან, იგერიებდნენ გერმანელ ფაშისტთა შეტევაზე გადმოსული ჯარების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მათ.

ფრონტის სევასტოპოლის უბანზე ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის მრავალგზის იერიშებს და ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო და მოქმედებდნენ მზვერავი რაზმები და ავიაცია.

ჩვენმა ხომალდმა ოდესის რაიონში ჩაძირა მოწინააღმდეგის 6 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

• • •

12 ივნისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 44 ტანკი, 210 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 5 ავტოცისტერნი საწვავი, 9 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, 1 საზენიტო და 8 ნაღმსატყორცნი ბატარეა, დაამსხვრიეს რკინიგზის 15 ვაგონი, დააზიანეს 2 საკანონერო ნავი და ერთი სატორპედო კატერი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილმა 13 ივნისს, დილით, იერიში მიიტანა გერმანელთა თავდაცვით ხაზზე. საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ საბჭოთა ქვეითმა ჯარმა განდევნა გერმანელები პოზიციებიდან, რომლებიც მათ ეკავათ, და ახალი დიდმნიშვნელოვანი ზღუდე დაიკავა. გაფიცხებული ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. გერმანელებმა 900-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. წამოყვანილია ტყვეები. საარტილერიო ცეცხლით მოსპობილია მტრის 10 მიწური საცეცხლე წერტი, 4 საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარეა და 4 ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ 7 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი და სხვა საჭურველი. სხვა უბანზე ჩვენი ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფმა ტანკების ჯგუფის საფარქვეშ იერიში მიიტანა გერმანელთა გამაგრებულ პუნქტზე. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ჩვენი მებრძოლები შეიჭრნენ უკუქცეულ გერმანელთა მიერ ცეცხლწაკიდებულ სოფელში და იქ გამაგრდნენ.

• • •

მოიერიშე გვარდიელთა რაზმი, გვარდიის მაიორის მალიუშინის მეთაურობით, უეცრად დაესხა თავს გერმანელთა მიერ დაკავებულ რკინიგზის სადგურს. საბჭოთა მფრინავებმა დაბომბეს მტრის ეშელონები და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ აეროდრომზე. იმავე ავიანაწილის ბომბდამშენთა ჯგუფმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ჩუჩევი, მტრის აეროდრომზე მოსპო გერმანელთა 7 თვითმფრინავი.

• • •

მზვერავთა ჯგუფმა უმცროსი ლეიტენანტის აგიშევისა და უმცროსი პოლიტხელის პანინის მეთაურობით (ლენინგრადის ფრონტი) მდინარე გადალახა, სწრაფი იერიშით შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგრებში და 27 თეთრფინელი გაჟლიტა, მამაცმა მზვერავებმა ტყვედ წამოიყვანეს ფინელი ჯარისკაცი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

• • •

ლეიტენანტ კლიუშნიკინის სატანკო ეკიპაჟი (ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი) ტყეში შეინიღბა და ჩასაფრებული იყო. მალე მტრის 10 ტანკი გამოჩნდა. ჩვენმა ტანკისტებმა ახლოს მოუშვეს ისინი, ცეცხლი დაუშინეს და დასწვეს გერმანელთა 5 ტანკი.

• • •

სნაიპერმა უფროსმა სერჟანტმა ამხ. ადილოვმა 104 ჰიტლერელი გასწყვიტა.

• • •

ორიოლის ოლქის ნ. რაიონის პარტიზანები მედგარი ბრძოლების დროს ზედიზედ ართმევენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ დასახლებულ პუნქტებს. გერმანელებმა პარტიზანების წინააღმდეგ გამოუშვეს უნგრელთა ბრიგადა და პოლიციელთა რამდენიმე რაზმი. ერთ ადგილას დამსჯელებმა მოახერხეს გაერღვიათ პარტიზანების თავდაცვა და აიღეს სოფელი ს. ფაშისტმა ჯალათებმა სოფელი სულ ერთიანად გადასწვეს და მხეცურად დასაჯეს ადგილობრივი მცხოვრებნი. ჰიტლერელმა მტარვალებმა არ დაზოგეს არც მოხუცნი, არც ქალები და ბავშვები. პარტიზანებმა კონტრიერიშით განდევნეს დამსჯელნი სოფელ ს-დან და 100-ზე მეტი ოკუპანტი გაჟლიტეს.

• • •

გერმანიის 246-ე ქვეითი დივიზიის უნტეროფიცერმა ალფონს კესტერმა, რომელიც ტყვედ წამოყვანილ იქნა 13 ივნისს, განაცხადა: „უკანასკნელ ხანამდე ჩვენი სამარშო ბატალიონი საფრანგეთში იყო. როცა ჯარისკაცებმა შეიტყეს რუსეთში გვგზავნიანო, თავი სიკვდილმისჯილი ადამიანებივით იგრძნეს. ბატარეის მეთაურმა განაცხადა, რუსეთში კარგი არაფერი მოგველისო. ამის მიხედვით ჯარისკაცებმა შემდეგი დასკვნა გააკეთეს: „თუ კი მეთაურები ასე პირქუშად შეჰყურებენ მომავალს, მაშასადამე, საქმე წასულია".

• • •

კალინინის ფრონტზე გერმანელთა ჯარების ზურგში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ხელთ იგდო მოწინააღმდეგის საველე ფოსტა, № 46.319, ხელში ჩაგდებული ერთ-ერთი წერილი მიმართულია გერმანელ ობერეფრეიტორ ვილჰელმ კრესესადმი და დაწერილია 1942 წლის 11 მაისს მისი ცოლის მიერ, რომელიც ცხოვრობს ტიუბინგენში გერმან-გერინგშტრასეზე, 52. ქვემოთ ქვეყნდება ამ წერილის ნაწყვეტები:

„ძვირფასო ვილჰელმ! გუშინ მივიღე შენი წერილი... ძალიან კარგი იქნებოდა, ეს საშინელი ომი რომ, ბოლოსდაბოლოს, დამთავრებოდეს. მაგრამ ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება იგი. იმედი ვიქონიოთ, რომ მალე დამთავრდება ომი. ეს საყოველთაო სურვილია, რადგან მუცელზე ქამრის უფრო მოჭერა თითქმის შეუძლებელია... გახსოვს ვილჰელმ ოჰმენი? იგი რუსეთში დაიჭრა და ჰოსპიტალში მას ფეხის ნაწილი მოჰკვეთეს. ახლა იგი ტიუბინგენშია. აღმოსავლეთის ფრონტიდან მხოლოდ ამ სახით ბრუნდებიან სამშობლოში. ალბათ, შენ პაულინაც გახსოვს, შერცინგენელი. მისი ქმარი და ოთხი ძმა რუსეთში დაიღუპა. წარსულ კვირაში ჩვენთან „ტომები" იყვნენ. საჰაერო თავდასხმების გამო ჩვენ სულ უფრო და უფრო ხშირად გვიხდება თავშესაფრებში წასვლა".

• • •

წითელი არმიის მიძალების გამო უკანდახევისას გერმანელმა ფაშისტთა არამზადებმა დაანგრიეს ორიოლის ოლქის ლიგნის რაიონის სოფელი კრუტოე. ჰიტლერელებმა 293 სახლი დასწვეს. ჩვენი მებრძოლები და მეთაურები კოლმეურნეებს დაეხმარნენ აღედგინათ დანგრეული სოფელი. 13 ივნისს წითელარმიელის ცოლი კოლმეურნე ანა ვასილის-ასული კუდინოვა მებრძოლთა მიერ აშენებულ ახალ სახლში შევიდა.

• • •

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის იმ პრინციპების შესახებ შეთანხმების დადების თაობაზე, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისას. მიტინგებსა და კრებებზე მეთაურები და წითელარმიელები, მუშები, კოლმეურნენი და ინტელიგენცია მხურვალედ მიესალმებიან უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამ აქტს, რომელიც განამტკიცებს დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების — სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო მეგობრობას. საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება მოაახლოვებს ჰიტლერის გერმანიაზე გამარჯვების ჟამს და ხელს შეუწყობს მტკიცე მშვიდობიანობის შექმნას ჰიტლერელთა ურდოების საბოლოო განადგურების შემდეგ.

საბჭოთა ქვეითები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომს

კალინინის ფრონტი, 8 ივნისი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენმა არტილერისტებმა საცეცხლე თავდასხმა მოახდინეს მტრის აეროდრომზე. რამდენიმე მანქანა მოსპობილ იქნა, დანარჩენები კი გერმანელებმა სასწრაფოდ გადაიტანეს სხვა ადგილას. როცა დაღამდა, ჩვენი მებრძოლების ჯგუფი ფრონტის ხაზზე გადავიდა და გაბედულად დაესხა თავს მტრის აეროდრომს.

ორი საათის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა დახოცეს 50 მფრინავ-ტექნიკოსი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს 4 პლანერი, საწვავის საწყობი და აფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად.

ე. კორიავიჩევი

მტკიცდება საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობა დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან

იდენის განცხადება თემთა პალატაში სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ

ლონდონი, 12 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა განცხადება გააკეთა თემთა პალატაში ინგლის-რუსეთის სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ. მან სთქვა: „მე მოხარული ვარ ვაცნობო თემთა პალატას, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან დასდო ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს ჩვენს კავშირს ამ ქვეყანასთან გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებული ომის განმავლობაში".

„თემთა პალატის წევრებს ახსოვთ,—სთქვა იდენმა,—რომ გერმანია რუსეთში შეიჭრა შარშანდელი წლის 22 ივნისს და რომ იმავე საღამოს პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა: საფრთხე, რომელშიც რუსეთი იმყოფება, ჩვენი საფრთხეც არისო (ტაში) და რომ ჩვენ რუსეთს უნდა გავუწიოთ ყოველგვარი დახმარება, რაც შეგვიძლია, და რუს ხალხთან ერთად ვიბრძოლოთ საერთო საქმისთვისო. პრემიერ-მინისტრის დეკლარაციის პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენდა ის, რომ 12 ივლისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ.

სექტემბერში ლორდი ბივერბრუკი და ავერელ ჰარიმანი მოსკოვს ეწვივნენ და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ შეთანხმების თაობაზე საბჭოთა კავშირისათვის იმ საომარი მასალების მიწოდების შესახებ, რომლებიც მას გადაუდებლად ესაჭიროება ომის წარმოებისთვის.

პოლიტიკურ დარგში ამას მოჰყვა ჩემი დარბაზობა მოსკოვს შარშანდელი წლის დეკემბერში. ამ დარბაზობის მიზანი, ჩემი დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნებული ერთობლივი კომუნიკეს განსაზღვრით, იმაში მდგომარეობდა, რომ „აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოგვეხდინა იმ საკითხებზე, რომლებიც ომის წარმოებას და ევროპაში მშვიდობიანობისა და უშიშროების ომის შემდგომს ორგანიზებას შეეხებიან".

ამის შემდეგ მოსკოვში დაწყებული მოლაპარაკება გრძელდებოდა. ბრიტანეთის დომინიონები, შეერთებული შტატები და სხვა უმეტესად დაინტერესებული ქვეყნები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი ჩვენი მოლაპარაკების მთელი მიმდინარეობის შესახებ. მოსკოვს ჩემი ყოფნის დროს მე გულწრფელად ვთხოვე მოლოტოვს გვწვეოდა ინგლისში და, როცა აქ ჩვენმა მოლაპარაკებამ საკმაო პროგრესს მიაღწია, მისი უდიდებულესობის მთავრობამ წინადადება შეიტანა, რომ მოლოტოვი ლონდონს ჩამოსულიყო, რათა ფორმალურ ხელშეკრულებად ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი შეთანხმება.

ამავე დროს მოლოტოვი პრეზიდენტმა რუზველტმა მიიპატიჟა სწვეოდა მას ვაშინგტონში. ამის შესაბამისად მოხდა შეთანხმება, რომ მოლოტოვი ინგლისს ჩამოვიდოდა, მერმე კი შეერთებულ შტატებში გაემგზავრებოდა. 21 მაისს იგი ლონდონს ჩამოვიდა. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 26 მაისს. (ტაში). მეორე დღეს მოლოტოვი, მის მიერ დასახული გეგმის თანახმად, შეერთებულ შტატებში წავიდა. მე მოხარული ვარ ვაცნობო პალატას, რომ მოლოტოვმა მშვიდობით იმგზავრა შეერთებულ შტატებში იქით-აქეთ და რომ მას მეტად სასარგებლო და დამაკმაყოფილებელი საუბრები ჰქონდა პრეზიდენტთან ვაშინგტონში. ახლა მოლოტოვი მოსკოვს დაბრუნდა.

როცა ჩემს მოხსენებას დავამთავრებ, პალატის წევრებს შეუძლიათ მიიღონ თეთრი წიგნი. ხელშეკრულების ტექსტს გარდა, იგი შეიცავს წერილებს, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს მისმა უდიდებულესობამ მეფემ და კალინინმა, აგრეთვე ხელშეკრულების ხელმოწერისას მოლოტოვისა და ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

შემდეგ იდენმა მოკლედ აღნიშნა ხელშეკრულების შინაარსი.

ლეიბორისტმა არტურ გრინვუდმა, რომელმაც იდენის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა, განაცხადა:

„თემთა პალატა უღრმესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩვენ ერთად ვმუშაობთ ამხანაგებივით როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიანობის დროსაც. ახლა საჭირო არ არის განვაგრძოთ ამ საკითხის შემდგომი განხილვა, და პალატის წევრები მოისურვებენ თეთრი წიგნის შესწავლას. შემიძლია თუ არა რაიმე ეჭვის გრძნობის გარეშე დავსვა რამდენიმე კითხვა? გამოქვეყნებულია თუ არა ეს ხელშეკრულება სრულად მთელი მსოფლიოს ცნობისათვის? ხომ არ შეუძლია ახლა იდენს დაარწმუნოს პალატა და ყოველი ადამიანი, რომელიც ეჭვს განიცდის და რომელიც შეიძლება იყოს პალატის გარეთ, იმაში, რომ ამ მოლაპარაკების დროს მიღწეული არ ყოფილა რაიმე საიდუმლო შეთანხმება?".

იდენმა დაუყოვნებლივ უპასუხა ამ კითხვაზე: „მიღწეული შეთანხმების ყველა პუნქტი გამოქვეყნებულია თეთრ წიგნში. ორივე მთავრობას შორის არ არსებობს რაიმე ფარული შეთანხმება ან ვალდებულებანი".

ამის შემდეგ ფეხზე წამოდგა ჭაღარამოსილი, პალატის უხუცესი წევრი დავიდ ლოიდ ჯორჯი, რომელმაც განაცხადა:

„როგორც ერთი მათგანი, ვინც 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შრომობდა იმისათვის, რომ კარგი ურთიერთგაგება დაემყარებინა საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის, მე ვულოცავ პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრსა და მთავრობას ამ ხელშეკრულების დადების გამო. ეს ხელშეკრულება რომ რამდენიმე წლის წინათ დადებულიყო, საგარეო პოლიტიკაში შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა მრავალი უხეში შეცდომა. მაგრამ არა მარტო ესა. ეს ომი არასოდეს არ მოხდებოდა". (ტაში).

ამის შემდეგ თემთა პალატამ სხდომა შესწყვიტა.

გამოსვლა ლორდთა პალატაში ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების თაობაზე

ლონდონი, 12 ივნისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლორდთა პალატის ლიდერი კრენბორნი გუშინ, საღამოს, ლორდთა პალატაში გამოვიდა იდენის მიერ თემთა პალატაში გაკეთებული განცხადების ანალოგიური განცხადებით.

ლეიბორისტმა ლორდმა ედისონმა მთავრობასა და საგარეო საქმეთა მინისტრს მიულოცა შეთანხმების მიღწევა. ეს,—განაცხადა ედისონმა,—ყველაზე უფრო რთული და ძნელი მოლაპარაკება იყო. „ჩვენ,—განაგრძო მან,—დაუფარავი შემსუბუქებით აღვნიშნეთ აგრეთვე განცხადება იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები და ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნები მთლიანად ინფორმირებული იყვნენ ყველაფერზე. ჩვენ მოხარული ვართ ვიცოდეთ, რომ ამჟამად მოლოტოვი მშვიდობით დაბრუნდა თავის ქვეყანაში, რადგან მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ისტორიაში".

ლიბერალი ლორდ სემიუელი გულწრფელად მიესალმა „ამ უფრო მჭიდრო კავშირს საბჭოთა რუსეთთან. მოლოტოვის დარბაზობა ინგლისში საიდუმლოება იყო, რაც კარგად იყო დაცული. ჩვენ მადლობელი ვართ მოლოტოვისა იმისათვის, რომ იგი გვეწვია, და იმისათვის, რომ ამის შემდეგ იგი შეერთებულ შტატებში წავიდა. ჩვენ ბედნიერი ვართ ვიცოდეთ, რომ იგი მშვიდობით დაბრუნდა თავის ქვეყანაში".

ინგლისის მეფის საინსპექციო მგზავრობა

ლონდონი, 13 ივნისი. (საქდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ ინგლისის მეფემ სამ დღეს იმგზავრა ჩრდილოეთის წყლებში და მოახდინა ამერიკის ზოგიერთი იმ სამხედრო გემის ინსპექტირება, რომელნიც ამჟამად ინგლისის მეტროპოლიის ფლოტთან ერთად ეწევიან სამსახურს. ამერიკის გემებს მეთაურობს ადმირალი რობერტ გიფენი, რომელიც ინგლისის ფლოტის მთავარსარდალ ადმირალ ტოვის ექვემდებარება.

ამერიკის სახაზო გემზე მეფეს მიესალმა ამერიკის ევროპის წყლებში მყოფი სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი სტარკი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ტარანტოზე

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ავიაციამ 11 ივნისს, ღამით, კვლავ მიიტანა იერიში იტალიის სამხედრო-საზღვაო ბაზა ტარანტოზე.

ბრძოლა ლიბიაში

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის მორიგ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გუშინ მთელ დღეს დიდი ბრძოლა იყო ელ-ადემის სამხრეთით მდებარე რაიონში. მტრის მიერ ელ-ადემის წინააღმდეგ ავიაციის დახმარებით მოტანილი იერიში მოგერიებულ იქნა. მაშინ მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ძალებმა მანევრს მიმართეს, რათა ელ-ადემისათვის შემოევლოთ, და აკრომისაკენ გასწიეს. მათ ინგლისის ჯავშანსატანკო ნაწილები დახვდნენ, და მათზე მიტანილ იქნა იერიშები ჰაერიდან. ამის შედეგად მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. ინგლისელთა ყველა პოზიცია ხელუხლებელი დარჩა.

ჩეხოსლოვაკიაში გრძელდება სიკვდილით დასჯა

ჟენევა, 13 ივნისი (საქდესი). პრაღის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სიკვდილით დასაჯეს კიდევ 18 ჩეხი, მათ შორის 2 ქალი. 10 კაცი სიკვდილით დასაჯეს პრაღაში, 8— ბრნოში.

საბერძნეთის შეიარაღებულ ძალთა მონაწილეობა ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში

ნიუ-იორკი, 13 ივნისი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, იქ ჩასულმა საბერძნეთის მეფე გეორგმა განაცხადა, რომ საბერძნეთის არმია, სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ძალთა ნახევარზე მეტი ამჟამად მონაწილეობას იღებენ საომარ ოპერაციებში ომის მრავალ ასპარეზზე. მეფემ აღნიშნა: ამერიკის შეერთებულ შტატებში იმისათვის ჩამოვედი, რომ შეთანხმებას მივაღწიო, რათა საჭურველის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატებიდან საბერძნეთის შეიარაღებულ ძალებს საომარი მასალები მიაწოდონ.

მეფემ განაცხადა, რომ, მოკავშირეთა საომარი ღონისძიებებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ამჟამად სწარმოებს ეგვიპტეში მცხოვრებ ბერძენთა გაწვევა არმიაში; ეგვიპტეში 1 მილიონამდე ბერძენი იმყოფება.

პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა აქტივის საქალაქო თათბირი

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). 10 ივნისს ქუთაისში ჩატარდა პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა აქტივის საქალაქო თათბირი.

ქუთაისის საწარმოებში სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისა და საწარმო-დაწესებულებათა ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ნარსია. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საწარმოებში სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას და აღნიშნა, რომ ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები შესამჩნევად დაწინაურდნენ. მაგალითად, ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატი, მაუდის ფაბრიკა, ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, მექანიკური ქარხანა და სხვა საწარმოები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას, აქ საგრძნობლად გაიზარდა ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები. აბრეშუმის კომბინატის სამექანიკო საამქროს ხარატი პ. რობაქიძე ივნისის პირველ დღეებში გეგმას 400 პროცენტით ასრულებდა. 4 ივნისს მან დავალება გაანაღდა 450 პროცენტით, 5 ივნისს—475 პროცენტით, 6 ივნისს—510 პროცენტით. ყოველდღიურად წინ მიდის ხარატი პ. ჩიქვინიძე, რომელმაც 7 ივნისს გეგმა შეასრულა 1.005 პროცენტით. გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე თ. ბენიძემ, ქ. ჯანელიძემ და ლ. ახალაძემ. ასეთსავე მაგალითებს იძლევიან კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე ადამიანები — ნ. მეტრეველი, ტ. კერესელიძე, თ. აბაზაძე, ი. ჩლაქიშვილი, მ. ნიშნიანიძე და სხვ.

ამასთანავე აღინიშნა, რომ მთელ რიგ საწარმოებში (მუშის ქარხანა, რკინიგზის ქუთაისის კვანძი და სხვ.) სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებს სათანადო დახმარებას არ უწევენ, სუსტად არის გაშლილი ინდივიდუალური შეჯიბრება, არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ამხ. გ. ნარსიას მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის დირექტორი ო. დავლიანიძე, მაუდის ფაბრიკის დირექტორი პ. თედორაძე, ტყავფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი გ. დალაქიშვილი, სტახანოველები—ბენიძე, რუხაძე, აბდალაძე, საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ლალიაშვილი და სხვ.

ამხ. გ. ნარსიას შემაჯამებელი სიტყვის შემდეგ თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ქუთაისის საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებისათვის.

გამოხმაურება საზღვარგარეთ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ლონდონსა და ვაშინგტონში ყოფნის გამო და ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებაზე

ინგლისი

ამხ. მოლოტოვის ყოფნა ინგლისში

ლონდონი, 12 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისში ხანმოკლე ყოფნის დროს მოლოტოვი მიღებულ იქნა მეფის მიერ ბუკინგემის სასახლეში. მოლოტოვი საბჭოთა საელჩოში და სხვა ადგილებში გამართული საუზმის დროს შეხვდა აგრეთვე სამხედრო კაბინეტის წევრებს და სხვა გავლენიან პირებს. მაისკიმ მოლოტოვთან ერთად მოიარა საჰაერო თავდასხმებით დაზარალებული რაიონები ლონდონში. მოლოტოვმა ხელშეკრულების ხელმოწერის ნახევარი საათის შემდეგ ჩერჩილთან ერთად ინახულა გამანადგურებელი ავიაციის სადგური. ეს მოხდა მოლოტოვისა და მისი თანმხლებელი პირების შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ.

ორი უდიდესი სახელმწიფოს საბრძოლო კავშირი

ლონდონი, 12 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი ფერგიუსონი სწერს, რომ 11 ივნისს ევროპამ, რომელიც გაჩაღებულ ომში იმყოფება, თავისი უშიშროების ქარტია მიიღო. ორმა უმძლავრესმა სახელმწიფომ სრული სამხედრო კავშირი შეჰკრა, რაც მუდმივი ომისშემდგომი მოწყობის საფუძველს წარმოადგენს.

ხელშეკრულების პრაქტიკული მოქმედება,— განაგრძობს ფერგიუსონი, — დაუყოვნებლივ დაეტყობა ევროპის ომს. „ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანის" თაობაზე შეთანხმების გარდა, ხელშეკრულებას ერთვის სამხედრო შეთანხმებანი, რომლებიც დადებულია ორივე ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შედეგად.

მე ეჭვი არ მეპარება,—აცხადებს შემდეგ ფერგიუსონი,—რომ ამ შეთანხმებათა შედეგები უახლოეს ხანში თავს იჩენენ ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ მძლავრი და სავსებით შეთანხმებული შეტევის სახით.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ყოფნა ა. შ. შტატებში

ლონდონი, 12 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო ნიუ-იორკიდან გადმოგვცემს: ამერიკის პრესა საიდუმლოდ იცავდა ცნობებს რუზველტთან მოლოტოვის დარბაზობის შესახებ მანამდე, სანამ მოლოტოვი ხანგრძლივ მგზავრობას ახდენდა. თითქმის ორი კვირის განმავლობაში გაზეთებმა მოთმინებით შეიკავეს თავი ამ წლის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ცნობის გამოქვეყნებისაგან მანამდე, სანამ დღეს, დილით, მიღებული არ იყო ცნობა, რომ მოლოტოვი ისტორიული მოლაპარაკების შემდეგ მშვიდობით დაბრუნდა რუსეთში.

ლონდონიდან მოლოტოვი 29 მაისს ჩამოვიდა 4-მოტორიანი რუსული ბომბდამშენით. ვაშინგტონში იგი ესაუბრა რუზველტსა და სხვა ოფიციალურ პირებს. მოლოტოვს ახლდნენ სამხედრო და სამოქალაქო თანაშემწენი. აეროდრომზე მათ შეხვდნენ სახელმწიფო მდივანი ჰელი და სხვა ოფიციალური წარმომადგენლები. თავისი დარბაზობის დროს მოლოტოვი მეტწილად თეთრ სახლში იმყოფებოდა, რუზველტის სტუმრად. რამდენიმე დღეს იგი ცხოვრობდა ისტორიულ შენობაში ბლეირ ჰაუზში, სახელმწიფო დეპარტამენტის გვერდით.

პრესის გამოხმაურება

ნიუ-იორკი, 12 ივნისი (საქდესი). ცნობებმა საბჭოთა კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შესახებ, განსაკუთრებით კი განცხადებამ ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის შესახებ, უდიდესი სენსაცია გამოიწვიეს ამერიკაში და დროებით დაჩრდილეს ყველა სხვა მოვლენა.

მთელი საღამოს პრესა მიეძღვნა ამ ცნობებს. ამერიკული პრესა და რადიო პირველ გამოსვლებში მხურვალედ მიესალმებიან განცხადებებს მეორე ფრონტის შექმნისა და საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის თანამშრომლობის შესახებ. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, ვაშინგტონელ მეთვალყურეთა საერთო აზრით, განცხადებანი მეორე ფრონტის შესახებ მოწმობენ ინგლის-ამერიკის მომავალ შეჭრას ევროპის კონტინენტზე.

კონგრესის ცნობილ მოღვაწეთა განცხადებანი

ნიუ-იორკი, 12 ივნისი (საქდესი). ამერიკისა და ინგლისის განცხადებებს 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის შესახებ მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ამერიკის კონგრესის წრეებში და ამერიკის საზოგადოებრიობაში. ამერიკის სააგენტოებმა და რადიოსადგურებმა პირდაპირ რამდენიმე წუთში გაავრცელეს მთელ ამერიკაში ის განცხადებანი, რომლებიც ვაშინგტონსა და ლონდონში გამოქვეყნდა.

სენატორმა ნაიმაც, რომელიც ომამდე აშკარად გამოდიოდა იზოლაციონისტური შეხედულებებით და წინადადებას იძლეოდა დამშვიდების პოლიტიკა გაეტარებინათ, ხაზგასმით აღნიშნა: იმის მომხრე ვარ, რომ 1942 წელს მეორე ფრონტი შეიქმნასო. ნაიმ რწმენა გამოსთქვა, რომ „როცა ჩვენ მეორე ფრონტს გავხსნით, საკმაოდ მომზადებული აღმოვჩნდებით იმისათვის, რომ მტერს გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთო".

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ კონელიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის მიღწეული ურთიერთგაგება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გაერთიანებული ქვეყნების საომარ ღონისძიებებს. „რუსეთი,—სთქვა მან,—ჩვენი პარტნიორია ახლანდელ ომში, მამაცი თანამებრძოლია, რომელიც თავის სისხლსა ღვრის და თავის სიმდიდრეს ხარჯავს ომის საწარმოებლად. მე ვიწონებ ყოველგვარ პრაქტიკულ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან".

ბელგია, თავისუფალი საფრანგეთი

ხელშეკრულება საერთო გამარჯვებას დააჩქარებს

ლონდონი, 12 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ბელგიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების თვით პრინციპი „პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს ომის შემდგომი წარმოებისათვის და მშვიდობიანობის მოსამზადებლად".

გენერალმა დე გოლმა განაცხადა: „მეომარი საფრანგეთი ღრმა კმაყოფილებას გამოსთქვამს ომში გამარჯვებისათვის და ომის შემდგომ კავშირის შესახებ ხელშეკრულების დადების გამო. მეომარი საფრანგეთი დარწმუნებულია, რომ ახალი ხელშეკრულება დააჩქარებს საერთო გამარჯვებას, ჩაგრული ქვეყნების ხალხთა განთავისუფლებას და პოლიტიკური და სოციალური უშიშროების აღდგენას ევროპაში".

პოლონეთი

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი გენ. სიკორსკი კმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების გამო

ლონდონი, 12 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა და პოლონეთის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა სიკორსკიმ დიდი კმაყოფილება გამოსთქვა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის ხელშეკრულების ხელმოწერისა და საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის მიღწეული შეთანხმების გამო. სიკორსკიმ სთქვა: „ეს შეთანხმებანი უზრუნველჰყოფენ გაერთიანებული ერების იმ საერთო ღონისძიებათა კოორდინაციას, რომელნიც მიმართული არიან გამარჯვების მიღწევისაკენ. პოლონეთის მთავრობა განსაკუთრებით კმაყოფილია იმით, რომ ხელშეკრულება აგებულია ატლანტიკის ქარტიის პრინციპებზე".

ლექციები და მოხსენებები

15 ივნისს, საღამოს 8 საათზე და 30 წუთზე, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის მთავარ დარბაზში (კეცხოველის ქ. № 5) შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია თემაზე: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ახალი ეტაპი".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში და რემედასის ბერიას სახ. რაიკომში. შემოსული თანხა გადაირიცხება თავდაცვის ფონდში.

16 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „სამამულო ომის ახალი პერიოდი—ჰიტლერული სიბილწისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების პერიოდი".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში (ლენინის ქ. № 41) დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ორშაბათს, 15 ივნისს, დღის 1 საათზე, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში დოც. ა. ჰილაია გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში".

დასწრება თავისუფალია.

საქალაქო აგიტპუნქტში

15 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება სემინარის მორიგი მეცადინეობა აგიტკოლექტივებისა და აგიტსემინარების ხელმძღვანელთათვის.

16 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: „დიდი სამამულო ომი, სამამულო ომის დიადი მიზანი და ამხანაგ სტალინის მიერ წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანები".

16 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: **„ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო კავშირურთიერთობის ზრდა და განმტკიცება"**.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და ოქტომბერი—„მაშენკა", **დამკვრელი** — „მოჩვენება, რომელიც აღარ მეორდება", **კომკავშირელი**—„მეორე", „ცა" და „ჯოჯოხეთი", **სპარტაკი**—„სოროჩინის ბაზრობა", **ლუქსემბურგის სახ.**—„ჯარისკაცი ფრონტიდან მოდიოდა", **26 კომ. სახ.** „მეკარე", **კომინტერნი**—„დიდი ვალსი", **მეცნიერება და ცოდნა**—„კაცი რესტორანიდან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ა. წ. 26 ივნისს, საღამოს 8 საათზე (ფიზ. ქიმიის კორპუსი, მარის ქ. № 3) ფიზიკის აუდ. ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ვლადიმერ მურზას-ძე ჯიძია** დაიცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:

„გეოიდის ფიგურის განსაზღვრა კავკასიისათვის გრავიმეტრიული მონაცემებით".

ოფიც. ოპონენტები: ფიზიკა-მათემატ. მეც. დოქტ. პროფ. მ. ზ. ნოდია, ფიზიკა-მათემატ. მეც. კანდიდატი, დოც. ე. კ. ხარაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე.

ლიმმანტრესტის თანამშრომლები იუწყებიან თინა ფარეიშვილის მამის
მელიტონ მიხეილის-ძე ფარეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ივნისს ქ. ბათუმში. გამოსვენება 5½ საათზე, ჩაპაევის № 3.

თბილისის ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის დირექცია და პედპერსონალი იუწყებიან
კონსტანტინე იოსების-ძე კიკაჩეიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 14/VI. რუსთაველის პროსპ. № 18. 740

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7676